საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კირთაძე დემურ გრიგოლის ძე

დ. კირთაძე

კირთაძე დემურ გრიგოლის ძე (დ. 31. V. 1949, სოფ. ხომული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ანგიოქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1998). რფ-ის დამს. ექიმი (1997), სამედ.-ტექნ. აკად. ნამდვილი წევრი (1997), საერთაშ. ანგიოლოგიის კავშირის წევრი (1997).

1974 დაამთავრა მოსკოვის, ი. მ. სეჩენოვის სახ. სამედ. ინ-ტი. 1974–75 მუშაობდა №20 კლინ. საავადმყოფოს ქირურგ. განყ-ბაში; 1975–78 – №13 კლინ. საავადმყოფოს ტრავმატოლოგად; 1978–80 – მოსკოვის I სამედ. ინ-ტში, თავდაპირველად – ზოგადი ქირურგ. კათედრაზე აკად. ვ. სტრუჩკოვის ხელმძღვანელობით, შემდეგ (1980–88) ოპერაც. ქირურგიის კათედრაზე (ხელმძღვ. ი. სეჩენიკოვი), პარალელურად მუშაობდა მოსკოვის №7 კლინ. საავადმყოფოს სისხლძარღვთა ქირურგიაში (ხელმძღვ. ვ. პეტროვი). 1988–89 იყო №78 პოლიკლინიკის ქირურგ. განყ-ბის გამგე, დაინიშნა მედ.- სან. ნაწილის №4 მთ. ექიმად; 1991-იდან ხელმძღვანელობს მოსკოვის, ომის ვეტერანთა №1 მრავალპროფ. ჰოსპიტალს (2017-იდან – პრეზიდენტი).

კ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება ზოგადი ქირურგიის და ანგიოლოგიის აქტუალურ საკითხებს. არის 2 გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი.

მიღებული აქვს რუსეთის ფედერაციის სახელმწ. ჯილდოები და მედლები.